რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 16 მარტი 1918 წ.

...филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი 15 კ.

№ 8

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., ,,Лампари"—Михаилу Медзмаріашвили для газ. ,,Чвени Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპეიკი.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

# ამხანაგებო მუშებო და გლეხებო!

10 თებერვალს თფილისის ალექსანდრეს ბაღში ტყვიის მფრქვეველებით და თოფის ზალპებით მუშათა მიტინგი დაცხრილეს. 13 მუშის გვამი ცივ სამარეს მიაბარეს, ოც და ათი მუშის, ქალის და ბავშვის სისხლი ბაღის მოედანმა შეიწოვა. „სამწუხარო ამბების" გამოსაძიებლათ თითქო კომისიაც დანიშნა მთავრობამ, მაგრამ ხუთი კვირა გადის ამ ავაზაკურ გამოსვლის შემდეგ და ჯერ კიდევ კრინტსაც არ სძრავს კომისია—რა გამოიძია და ვინ უნდა დაიდაღოს ავაზაკის დაღით. ოჯახურად, ჩუმათ სურთ დავიწყებას მისცენ ეს, ისტორიაში უმაგალითო ავაზაკობა. მოითხოვეთ დაუყოვნებლათ გამოძიების გამოქვეყნება და სისხლის ღვრის მომწყობების რევოლიუციონური სასამართლოში მიცემა.

3021

კვირას, 18 მარტს, დილის 10 საათზე, პარტიულ კლუბში (ყოფილ ,,პროვოდნიკის" შენობაში) მოსკოვიდან ახლად ჩამოსული ამხანაგი გააკეთებს მოხსენებას

## რუსეთის საზოგადო მდგომარეობაზე.

ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ. დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც.

### გურიის კომიტეტის დაარსების გამო.

ჩვენი პარტია რევოლიუციის პირველ დღიდანვე საბჭოთა სრულუფლებიანობას, მთელი ძალაუფლების რევოლიუციონურ კლასების ხელში გადასვლას ჰქადაგებდა, ამისთვის იბრძოდა. საბჭოებში გამეფებული იყო კერენსკისებური მამლაყინწაობა და წერეთლისებური სიტყვის რახუნი, იქ მკვიდრად მოკალათებული იყვნენ წვრილ ბურჟუაზიული პარტიების—მენშევიკების და ეს ერების—სარდლები. იქ პირველ ხანებში ჩვენ უმცირესობას შევადგენდით, მაგრამ ჩვენ მაინც მომხრე ვიყავით იმის, რომ ამ საბჭოებს აეღოთ მთელი ძალა-უფლება. ჩვენ იდეიურად შევებრძოლებით შიგ საბჭოებში წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკას, გავაჩაღებდით პროლეტარულ რევოლიუციონურ პოლიტიკის პროპაგანდას, მოვიმარჯვებდით კრიტიკის იარაღს. ბრძოლა იქნებოდა ამხანაგებ შორის, ბრძოლა იქნებოდა უაღრესად იდეიური. მუშათა კლასის რევოლიუციონური ალღო გაიღვიძებდა ადრე თუ გვიან და მშვიდობიანი გზით გადიჭრებოდა რევოლიუციის ძირითადი საკითხები. მაგრამ ივლისის შემდეგ სამუდამოთ გაქარწყლდა შესაძლებლობა რევოლიუციის მშვიდობიანი გზით განვითარებისა. კრიტიკის იარაღი ბუნებრივი კანონის აუცილებლობით შეიცვალა იარაღით კრიტიკათ. გამოფხიზლებულმა მუშათა კლასმა და გლეხობამ ახალი რევოლიუციით გადასჭრა სადაო საკითხი, გამოგლიჯა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ბურჟუაზიულ კოალიციონურ მთავრობას და გადასცა საბჭოებს. ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ერთად-ერთი ბაქოა, სა დაც მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროლეტარიატია თავმოყრილი და იქაც აფრიალებულია საბჭოს ძალაუფლების დროშა. დანარჩენ ადგილებში, კი რუსეთში ძირიან-ფესვიანად ამოგდებული, კოალიციის სული ტრიალებს, მთავრობაში არეულია მშრომელი ხალხის წარმომადგენელი და ხალხის მტერი, ვითომ სოციალისტი და ბურჟუა, ბეგებ-ხანები, ერთი სიტყვით, მგელი და ცხვარი ერთად ძოვენ. სიმწვავე ასეთი მდგომარეობისა უკვე შეიგნეს მუშებმა და გლეხებმა, ისინი უკვე სწორ ალღოს უღებენ ცხოვრებას, რევოლიუციის განელებას ვერ შერიგებიან. მაგრამ მათ მძიმე ტვირთად კიდიათ კისერზე ახლო წარსულის ტრადიციები, მათ ჯერ კიდევ ვერ გაუნიავებიათ ყალბი მოჩვენებანი, ის ილიუზიები, რომელიც მოახვია მათ გაბატონებულმა პარტიამ და რომლითაც ძალზე მოწამლული იყვენ ცხოვრების ჩაქუჩი მაინც თავისას შვება, რევოლიუციის შინაგანი კანონი ხორც შესხმულობას ეწევა. აქა იქ ჩვენს კუთხეშიაც ფეხს იკიდებს საბჭოთა ძალაუფლების იდეია და მშრომელ ხალხის რევოლიუციონურ თვითმოქმედების სარჩულად ხდება. მაგ. ლეჩხუმის მაზრაში დღეს ხალხია თავის ბატონ-პატრონი, გლეხთა საბჭოა რევოლიუციონური ხალხის ნებისყოფის ორგანო. და ეს „რევოლიუციონური სენი" სწრაფად ვრცელდება და ედება მეზობელ მაზრებში ოფირჩხეთის საზოგადოების ყრილობამ გადააყენა ნდობა დაკარგული კომისარი, აირჩია საქმეების გასაძღოლად საბჭო ხონის რაიონშიაც დაჰბერა ახალმა სიომ. თვით ბათუმის საბჭომ, სადაც მოკალათებული არიან მენშევიკები, გამოაცხადა ქალაქში და მთელს ბათუმის ოლქში საბჭოს ძალა-უფლება, თუმცა ჩუტი გამოდგა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მაინც დამახასიათებელია ის ახლანდელ მდგომარეობისა. ამ მხრივ საინტერესოა „გურიის კომიტეტი"-ს დაარსებაც, რომლის განკარგულება ჩვენი გაზეთის მეექვსე ნომერში მოყვანილია „გურიაში მომქმედ სხვადასხვა პარტიებმა გადასწყვიტეს შეადგინონ რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტი", სწერია განკარგულებაში. „ხსენებული კომიტეტი სამხედრო საქმეში გურიის საზღვრებში უზენაესი უფლებით არის აღჭურვილი... მას ემორჩილება: წითელი გვარდია, მილიცია და გურიის ყველა აღმასრულებელი კომიტეტ-ორგანოები". შემდეგ, მუხლობრივ აღნუსხულია განკარგულება. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ განკარგულების არც ერთ მუხლს იმ სახით, როგორც ეს გამოუმუშავებია კომიტეტს. შეიარაღებულ, თავის კერას და თავისუფლების დასაცავად გამზადილ მშრომელ ხალხს არ ესაჭიროება ასეთი „რეგლამენტი", მაგრამ ამჟამად ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. საინტერესოა ის, რომ „სხვადასხვა პარტიებს" აუცილებელ საჭიროებად მიუჩნევიათ „უზენაესი უფლების" ხელში აღება მხოლოდ სამხედრო საქმეში. თუ კი ასეთი რთულ და პასუხსაგებ საქმეში კომიტეტი უნარს გამოიჩენს და მიზანს მიაღწევს, ნუ თუ ადგილობრივ ცხოვრების დანარჩენ დარგებში ის

უფრო ადვილად და პირნათლად არ შეასრულებს რევოლუციონურ ხალხის დავალებას? და თუ ეს შეუძლია „სხვადასხვა პარტიებს", განა ჯობდა რევოლუციონური პარტიები რომ იღებდენ მთელს ძალაუფლებას ხელში, მთელი ხალხი თავის საბჭოების სახით განდიდებოდეს ადგილობრივ ცხოვრების უზენაეს ნებაყოფის წყაროდ, მაშინ უფრო არ გამაგრდება რევოლუცია, მაშინ უფრო არ გამრთელდება რევოლუციის ხერხემლის ძვალი, რომელიც დღეს გადატეხილია ორად ერთი ნაწილი ხალხის ხელშია, მეორე კი ხალხის მტრებთან კოალიციის ხელში. ვინც სთქვა ა-ნი, მან ბ-ნიც ზედ უნდა მოაყოლოს, ნათქვამია. ვინც აღიარა ხალხის „უზენაესი უფლება" ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დარგში, მან უნდა მეორე გაბედული ნაბიჯი გადადგას და რევოლუციონურ ხალხის, რევოლუციონურ საბჭოების სრული ძალა-უფლება უნდა აღიაროს და განახორციელოს. ნუ თუ გურია სხვის მაჩანჩალა იქნება ამ საკითხის გადაწყვეტაში, თუ ის პირველობას დაუთმობს ამაში სხვას? გაუმარჯოს გურიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციონურ საბჭოების უზენაეს ძალაუფლებას!

## ვინ ვართ ჩვენ, ბოლშევიკები?

დღეს ჩვენში და რუსეთში კი არა, მგონი მთელს ქვეყნიერობაზე არ იქნება ისეთი ადამიანი, რომელსაც გაგონილი არ ჰქონდეს რამე ბოლშევიკების პარტიაზე. ოთხასი ათასი წევრია შეკავშირებული ჩვენს პარტიაში, ეს პარტია მეთაურობდა ოქტომბრის დიდ რევოლუციას, რომელმაც მშრომელი ხალხი-მუშები, გლეხები, ჯარისკაცები, მატროსები, ღარიბი კაზაკები და საერთოდ ყველა მაშვრალნი და ტვირთმძიმენი თავიანთ ბედის მჭედელი გახადა, ხელმწიფის და მდიდრების თვითმპყრობელობის ნანგრევებზე მშრომელი ხალხის თვითმპყრობელობა ააგო. შრომის შვილი აღტაცებით იხსენიებს ჩვენს პარტიას, ღარიბ-ღატაკნი თავის პარტიად სთვლიან მას და თავის ინტერესების მებრძოლ რაზმად სახავენ. სამაგიეროთ ვძულვართ და ვეზიზღებით მდიდრებს-მემამულეებს, მექარხნეებს, ბანკირებს, ეფისკოპოსებს, მათ გენერლებს და ყველა მათ, ვინც მდიდრების ნასუფრალით მაძღარია, ვისაც მდიდრებისათვის მიუყიდია თავისი ნიჭი და ნამუსი. ვძულვართ ცრუ-სოციალისტებს და გახუნებულ რევოლუციონერებს ე. წ. მენშევიკებს და სოციალისტ რევოლუციონერებს, რომლებიც მდიდრების პარტიებთან ხელჩაკიდებულები ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ. აქ ამიერ-კავკასიაში, სადაც მათ ჯერ-ჯერობით ნიადაგი საბოლოოდ არ დაუკარგავთ, კიდეც ტყვიით გვცემენ პასუხს.

ზოგი გვაქებს და ჩვენს წრეში დგება, ზოგიც გვაგინებს და კბილის კრაჭუნით ჩვენს მოსპობაზე ოცნებობს, მაგრამ ყველა კი ასე თუ ისე ანგარიშს გვიწევს. უყურადღებოდ კიდეც რომ მოინდომონ, ვერ ჩაგვივლიან გვერდს. მდიდრებს ძლიერ სურთ ჩვენი გაქრობა, რომ ხსენებაც აღარ დარჩეს ჩვენი, მაგრამ რაკი ეს შეუძლებელია, ათასგვარ საზიზღარ ჭორებს, ყოვლად უსინდისო ხმებს ჰყრიან ჩვენზე, ბილწიან ცილს გვწამებენ. მათი მაჩანჩალა ზოგი სოციალისტიც ბანს აძლევს და კიდეც უმატებს გესლიან ჭორებს. მათ რომ ყური ათხოვოს ადამიანმა, ჩვენ ეშმაკის, ქაჯეთის მოციქულები უნდა ვიყოთ; ყოვლად უნამუსოები, გერმანიის ჯაშუშები, მოსყიდული გამცემლები, სამშობლოს მოღალატეები და ხალხის მტრები. მდიდრებს თავისი ბატონობის და ხალხის კისერზე მძიმე უღლის შერჩენა სხვაფერ არ შეუძლიათ, თუ არ იცრუეს და ბინძური იარაღი არ მოიხმარეს ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლთ წინააღმდეგ. მდიდრებთან კამათი, მათი ამყოლების წინაშე თავისმართლება, მგლის თავზე სახარების კითხვა იქნებოდა: თითონაც კარგად იციან, რომ სისაძაგლეს ჩადიან, მაგრამ კეთილშობილური ბრძოლის იარაღი მათთვის გამოსადეგი არ არის. ჩვენ არც გვაშინებს მათი გესლიანი ენა, მათი გამოსროლილი ტალახი უკანვე იბრუნდებათ. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ მშრომელი ხალხის მუშის, გლეხის, ჯარისკაცის, სხვა და სხვა მოსამსახურეებს-აზრი ჩვენი პარტიის შესახებ. მხოლოდ მათ უწევთ ჩვენ ანგარიშს და გვსურს, რომ ჩვენს მეგობრებს, ჩვენს თანამგრძნობებს სწორი, უტყუარი და ჭეშმარიტი შეხედულება ჰქონდეთ ბოლშევიკების პარტიაზე, თუ რას ქადაგობდა და ქადაგობს დღეს, საითკენ მოუწოდებდა მშრომელ ხალხს, რას და ვის ემსახურება იგი, რა გააკეთა და რა აქვს კიდევ გასაკეთებელი, ვის ემხრობა და ვის ებრვის?

ამ თავითვე უნდა ვსთქვა, რომ ზოგიერთი ნაძირალა, ხულიგანი და არამზადა თავის საზიზღარ საქმეების გასამართლებლად ეგებ მართლა თავი ბოლშევიკად მოაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების პარტიას არც კი მიკარებია სიახლოვეს და არც იქ მიიკარებენ. მაგრამ ამ გარემოებამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს ვინმე- წინეთ როცა რუსეთში ხალხის მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ კიდევ არ დაწყებულიყო, მხოლოდ სტუდენტობა გამოდიოდა ხან და ხან მეფის წინააღმდეგ, გაფიცვებს ახდენდა და ასე საზოგადოების მოწინავე რაზმად ითვლებოდა. საზოგადოებაშიაც სტუდენტობა, სტუდენტის სახელი მაშინ საპატიო იყო, სტუდენტობას რევოლუციონურ რაზმის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მას ყოველგვარ დახმარებას უწევდენ. მათ შორის ღარიბებს ხელს უმართავდენ, მათდამი სრული ნდობა თითქმის სავალდებულო იყო ე. წ. მოწინავე საზოგადოებაში. ამით სარგებლობდენ ნაძირალები, რუსის ბოსიაკები და როცა ხელსაყრელი იყო, ან სტუდენტობას იჩემებდენ, ან ნასტუდენტარის სახელით გამოდიოდენ თავის ბინძური საქმეების დასამალავად და გასამართლებლად. მაგრამ ამას არ მოუცხია და ვერც მოსცხებდა ჩირქს სტუდენტობას გარდა აშკარა ცილისწამებელისა ვინ მოახვევდა მთელს მოწინავე სტუდენტობას იმათ ბინძურ საქმეებს, ვინც ასეთ ტყუილს მიმართავდა და ფლიდობდა. როცა რუსეთში რევოლუციონური პარტიები გაჩნდენ და მეფის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს, გამრავლდენ თვით მპყრობელობის ჯაშუშები და პროვოკატორები, ჟანდარმები და პოლიციელები. ყოველი ჯაშუში რევოლუციონერების წრეში შეძრომას ახერხებდა, პარტიის კაცად აჩვენებდა თავს და თავის შავბნელ საქმეს ასრულებდა. ბევრ ქურდს და ყაჩაღს უმართლებია თავი სასამართლოში პოლიტიკურ ნიადაგზე ჩავიდინე დანაშაულიო. ბევრი გამოჩნდა სოციალისტურ პარტიებში შპიონი, პროვოკატორი და ხელმწიფის ერთგული პოლიციელი, ბევრს აეხადა წინეთაც არამზადის ნიღაბი და ყველა ისინი მზეზე გამოიყვანა რევოლუციამ, როცა პოლიციის და ჟანდარმების კანცელარიები გაჩხრიკეს, მაგრამ განა ამ გარემოებამ სახელი გაუტეხა სოციალისტურ და რევოლუციონურ პარტიებს? მხოლოდ მდიდრების პარტიები თვალთმაქცობდენ და ვითომ არცხვენდენ რევოლუციონერებს-აი თქვენ შორის რა ბინძური ხალხი იფარავს თავსო; ეს იმიტომ ხდება, რომ თქვენ იატაკქვეშ მუშაობთ, რევოლუციას ამზადებთ და ამიტომ ადვილად შემოიპარება თქვენს წრეში ბნელი ძალებიო. დაანებეთ რევოლუციას თავი, გახდით ნებადართულ ზომიერ პარტიად და მაშინ არ წაგეკარებათ უნამუსო ხალხიო. აი რას გალობდენ მდიდრების მსახურები

ასეა ახლაც. ბოლშევიკების პარტია ერთად ერთი ნამდვილი რევოლუციონური პარტიაა რუსეთში და საკვირველი არაა, როცა ზოგი ხულიგანი ნიღაბს იფარებს თავის სისაძაგლის გასამართლებლად და გაიძახის ბოლშევიკი ვარო. გულუბრყვილოები თუ მოსტყუვდებიან და დაუჯერებენ, თორემ ჩვენი პარტიის მოქმედების და პროგრამის მცოდნე არ მოსტყუვდება და ასეთ „ბოლშევიკს" წიხლს კრავს და გაბაწრავს კიდეც, თუ ხალხის საწინააღმდეგო საქმეზე მიუსწრო.

მაშ გავეცნოთ მოკლეთ მაინც ბოლშევიკების პარტიის ისტორიას, მის განვითარებას და აწმყოს, თუ რისთვის იბრძოდა, რა გააკეთა და რა დარჩა გასაკეთებელი.

## პრესის მიმოხილვა.

წვრილ ბურჟუაზიული წაჯეჯ-უკუჯეჯობა სასაცილო სახეს იღებს გაზ. „ერთობაში". რასაც დღევანდელ ნომერში ურყეველ სიბრძნეთ გამოაცხადებს, ხვალ იმას გაზაფხულის პეპელასავით გადაათრინდება და სულ სხვა სიბრძნეს გაიხდის ხუხულასთვის მასალად. მარა უკანასკნელი ნომერი პირდაპირ „ეშმაკის მათრახ"-ს მოგვაგონებს. ყური დაუგდეთ, რას ამბობს ერთ მოწინავე:

> განა სეიმის დადგენილება 7 მარტიდან აშკარათ არ დადგენს იმას, რომ მენშევიკებმა ჩამოართვეს მიწა ბეგებს, თავადებს, გრაფებს, კნიაზებს, კიდევ მეტი, უფასოდ მისცეს მიწათმოქმედებს და გადასცეს იგი გლეხებს.

მაშ ასე, მენშევიკებმა ჩამოართვეს, მენშევიკებმა გადასცეს. ახლა მოუსმინეთ იმავე ნომრის მეორე მოწინავეს სეიმის კანონის შესახებ წკმუტუნს:

> მაგრამ კარგს კანონს თავის თავად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თვითმპყრობელობის დროსაც ბევრი კარგი კანონი გამოიცა, მაგრამ იმის ასრულებაზე არავინ ზრუნავდა; პირიქით, სახელმწიფოს მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, რომ ეს „კარგი" კანონი ერთი მუჭა თავად-აზნაურობის და კაპიტალისტების სასარგებლოთ ყოფილიყო გამოყენებული.
>
> აღნიშნული კანონიც უნაყოფო იქნება, თუ დემოკრატიამ არ იზრუნა მის განხორციელებაზე.

ღმერთო გვიშველე! მენშევიკები თავის „პირმშო შვილის" გამო [illegible] კანონმდებლობის იგონებენ და ერთიგივეობას [illegible] ბენ, უნაყოფო იქნებაო, თუ დემოკრატიამ და სხვა.. კანონს მტერი ყოლია:

> ასეა თუ ისე, ახალ კანონს ბევრი მტერი ჰყავს. მის დამახინჯებას [illegible] ხნით გადადებას ბევრი გავლენიანი პირი შეეცდება. და ეს მაშინ, როცა თვით დეკრეტის ნაკლოვანებათ [illegible] შეზღუდული. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რევოლუციონერ მთავრობას მიერ შექმნილ საადგილმამულო კომიტეტებში ბევრ ადგას მსხვილი მემამულეები იქნენ არჩეულნი.

აქამდის კი გვარწმუნებდენ, რომ ყველაფერი რიგზეა, დემოკრატიული კოალიცია შეურყეველია: ახლა იუცხოვებენ ვითომ კომიტეტებში სხვილ მემამულეების ყოფნას. მაგრამ თვით კანონი მხოლოდ უბრალო დეკლარაცია ყოფილა (ჩვენ მას უბრალო რეზოლიუციის სახელი ვუწოდეთ:)

> ამიერ კავკასიის სეიმი, რომელმაც მიწის კანონი გამოსცა, თითონ იზრუნებს მის ცხოვრებაში გატარებაზე. ეს სეიმის მოვალეობაა. ის დანიშნავს სათანადო კაცებს, გადასდებს საჭირო თანხას და სხ. მაგრამ კანონის ასრულების საქმეში სეიმი ვერ იმოქმედებს ისეთის ერთსულოვნობით, როგორც მისი მიღების დროს. ამ მხრით კანონს უფრო დეკლარაციის, განცხადების ხასიათი აქვს. მართლაც როგორ შეიძლება საქვეყნოთ გამოცხადდეს— გლეხებს მიწებს ნუ მიეცემითო? ეს ხომ აღშფოთებას გამოიწვევდა გლეხებში და არსებულ ანარქიას კიდევ უფრო გააძლიერებდა. ამიტომ კანონი მიწების ჩამორთმევის შესახებ ერთხმათ იქნა მიღებული, მაგრამ როცა საქმე მის ასრულებაზე მიდგება, ეს ერთსულოვნება, ეჭვი არ არის, გაქრება და რეალური ინტერესები წამოიწევენ თავს. ერთი შეხედვით, გაუგებარი გარემოება შეიქნება: რევოლუციონურ დემოკრატიას მოუხდება კანონიერების ნიადაგზე დგომა, ხოლო რეაქციონერები რიხით შეუდგებიან რევოლუციონერობას და კანონის დარღვევას.

ყველა ამის შემდეგ რა მასალიდან გაკეთებული შუბლი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მეორე წერილში რიხით განაცხადოს: ჩვენ მენშევიკებმა, ჩამოვართვით ბეგებს, თავადებს გრაფებს, კნიაზებს მიწები და გლეხებს გადავეცითო. ენუქას ანდერძი. დეკლარაცია გამოუშვეს მხოლოდ, და იმის შიშიც კი აქვთ, რომ კანონის ნიადაგზე ჩვენ ვიქნებით და რევოლუციონერობას კი თათრის ბეგები და თავადები შეუდგებიანო! არც მაინც და მაინც გასაკვირი იქნება ეს: კონტრ რევოლუციის ნიადაგი არსებითად რევოლუციონურია, რეაქციის მსახურნი თქვენსავით მოლაყბენი კი არ არიან, ისინი საქმის ხალხია და იციან როდის როგორ მოიქცენ თავის კლასის ინტერესებისათვის. თქვენ გაუმაგრეთ მათ ზურგი, თქვენ გაამარტოვეთ გლეხობა და ახლა მეტი რა დაგრჩენიათ, „კანონს" უნდა ჩაებღაუჭოთ და თქვენს მოკავშირე ბეგებს და ხანებს ვინება

...ლეწყოთ — „რევოლიუციონერები" ...ართო!

* * *

...ივლევ „ერთობა" მხება ქართლში ზოგიერთ თავადების ოჯახების ლარ... ...ლ და ამოწყლეტას გლეხების მიერ და სამართლიანად შენიშნავს:

ნუ თუ ჩვენ იმისთვის გებრძოდით თვითმპყრობელ მტარვალს, რომ ცეცხლი და მახვილი გაგვებატონებია? ნუ თუ ჩვენ იმისთვის მოვიპოვეთ თავისუფლება, რომ უმწეო პირების სისხლით მოგვესვარა ხელები?. ნუ თუ ...კაცობა არ უნდა აღმოჩნდეს ...ვით ველურობის წინააღმდეგ? რათ ...ებით საცოდავებს ადამიანებს, მხოლოდ იმისთვის, რომ მათ ოდესმე რამე ...ტყდენიათ?

რა დაუშავეს ქალებმა და მცირე წლოვანმა ბავშვებმა?

სავსებით სამართლიანია, ყოველი რევოლიუციონერი, ყოველი ნამუსიანი ადამიანი უნდა შეებრძოლოს თვით გასამართლებს, მხეცურ ჟლეტას, უაზრო ტერორს, მით უმეტეს, როცა შესაძლებელია გლეხობისათვის თითონ აიღოს ხელში თავისი ბედ-იღბალი, თითონ გამოსჭედოს თავისი ბედნიერება. გასაკვირია, არას შემთხვევაში სამართლების ღირსი არ არიან ხო... ...ლების მომწყობნი, მაგრამ გა... ...ა კიდევ შეიძლება მათი გაამართლება, შეიძლება ასეთი საშინელი ...ების გამომწვევი მიზეზების ჩვენება, სოციალური ხურვების დიაგნოზის დასმა. მაგრამ სისხლის მოძულე, ...ვრიტებსავით უმანკო მენშევიკებო, რატომ 10 თებერვლის სისხლის ღვრის გამო არ მიეცით ეგეთი კითხვა თქვენს თავს, რათ იმ დღესვე არ შეიპყრით და არ გაასამართლეთ ისინი, ვინც ხელებიც მოისვარეს და ...რისახე შეითხუპნეს სისხლით? და ...რე ვისი სისხლით? მუშების, და ...თი ცოლშვილის? „რა დაუშავეს ...ლებმა და მცირე წლოვანმა ბავშვებმა"? მიძანეთ, რა მიზეზით გაჩუმებულია კ. მისია ამ ავაზაკობის გა...სამძიებლათ რომ დანიშნეს? ისიც ...ითხარით — გამოუცხადეს გეგეჭკორს ...სისხლით შელებილ შაბათის გამო, ...ული ნდობა და მოწონება, თუ ...ა?

* * *

...გაზ. „სოციალ-დემოკრატი", იტყობინება, რომ ქუთაისში მყოფ ლეჩ...მელ „ამხანაგებს" მოუგროვებიათ ...თიოდე თუმანი და ამ ფულით ლეჩხუმლებს წითელ ლიტერატურას უგზავნიანო. გაზეთი ამას „მისაბ მაგალითს" უწოდებს. მაშ ასე, ლეჩხუმლებს ირგვლივ ალყა შემოარტყეს, კანონს გარეშე დააყენეს, ...ლი, მარილი, ფული, საქონელი დახ...რება მოუსპეს და ახლა ყველა ამის ...ვიერ „რევოლიუციონურ" ლიტერატურას მიართმევენ. როგორც ნიკოლოზის ციხეში ჩამოსახრჩობლათ ...ზადილს სასულიერო წიგნებს შეტანდენ კამერაში, მღვდელსაც შეუყვანდენ კამერაში სულის გასანათლებლათ, და მერე იმავე მღვდლის ...ნამძღოლობით სახრჩობელასკენ წაიყვანდენ! ფულის გამღები „ამხანაგები" ეგებ ვერც კი ხედავენ, რა ...კვიზიტორობას სჩადიან, მაგრამ ...თქვენ კი „სოც.-დემოკრატის" ლიტერატურულ პროკურორებო, თქვენ ...ს პირმოთნეობთ! ლეჩხუმლებმა ...მეს თქვენი ადმინისტრატიული ...ფრიანობის ნაყოფი, გაიგეს თუ რა ...თელი, ...ბრძანებულხართ.

# ქრონიკა.

**ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობით ბათუმი, ყარსი და არდაგანი ოსმალეთს არ ეკუთვნის. იქ მხოლოდ აღიარებულია ამ ოლქთა მცხოვრებლების თვით გამორკვევა. კონტრ-რევოლიუციონერების განგაში ტყუილი გამოდგა**

ქ. თბილისში გამოვიდა ჩვენი ორგანო, რუსულ ენაზე: **„Кавказская правда"**.

* გუშინდელ ნომერში შეცდომით მოთავსებულია უშენიშვნოთ გურიის კომიტეტის (თავდაცვის) მოწოდება.

* 14 თებერვალს, 4 საათზე, წითელ გვარდიელმა ანდრო ბ. რუხაძემ უცაბედათ დასჭრა ვასილ კვიცარიძე.

# რევოლიუციონური რუსეთი

პეტროგრადი. სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია დელეგატებს და მოსამსახურეებს, ვინც კამანდიროვკაშია გაგზავნილი, ნება აქვთ ქალაქიდან გასვლის მხოლოდ ცენტრალურ საევაკუაციო კომისიის ნებართვით. ევაკუაცია შეჩერებულია. კერძო პირებს ქალაქიდან გასვლის ნებართვას არ აძლევენ.

პეტროგრადი, 6 მარტი. პეტროგრადის კომუნის სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო გამოვიდეს ყველა გაზეთები, რომელნიც შეჩერებულნი იყო საალყო წესების გამოცხადების გამო, ან სარევოლიუციო ტრიბუნალის გარდაწყვეტილებით.

პეტროგრადი. ყველა საბჭოებს პეტროგრადის პროლეტარიატი აწყობს ქ. პეტროგრადის დაცვას, ყველა ძალებს მობილიზაცია უყვეს. პეტროგრადი არ დანებდება უკანასკნელ წუთამდი. მაგრამ ამისთვის საჭიროა სურსათით დახმარება. საბჭოებმა ერთი წუთიც არ უნდა დაკარგონ და გაგზავნონ პეტროგრადსა და მოსკოვში რაც შეიძლება მეტი პური და საზოგადოთ სურსათი. ნუ ამოწყვეტთ სიმშილით რევოლიუციონერ პეტროგრადს. მიიღეთ ყოველივე ზომები

არ დაივიწყოთ, რომ რაზმების შედგენა და ფრონტზე გაგზავნა საჩქაროთ უნდა მოხდეს.

პრეზიდიუმი ცენტრალური აღმ. კ. მუშათა, სალდ. და გლეხთა დეპუტატების.

პეტროგრადი. ყველა კადრის აფიცრებს. სოციალისტური რუსეთი და რევოლიუციონური პეტროგრადი განსაცდელშია. მტერი კარზეა მომდგარი. პეტროგრადის მუშებმა მიატოვეს მუშაობა და იარაღი აიღეს ხელში, რომ დაიცვან პეტროგრადი მტრისაგან. გადაწყვეტილია არ მივსცეთ პეტროგრადი. მაგრამ ამისთვის საჭიროა შევქმნათ მუშათა რაზმები და მივსცეთ მინიმუმი იმ ცოდნის, რაც საჭიროა თავდაცვისთვის. ამიტომ პეტროგრადის რევოლიუციონურმა თავდაცვის კომიტეტმა დაადგინა: ყველა კადრის აფიცრებმა, მასწავლებლებმა და მსმენელებმა სამხედრო აკადემიისამ და სამხედრო სასწავლებლებისამ, უნდა, გამოცხადდეს და ჩაეწერონ მარინეს სასახლეში.

რევოლიუციონურ თავდაცვის კომ.

ურიდობა. სევასტოპოლის მუშათა და სალდათთა საბჭომ, და შავი ზღვის ცენტროფლოტმა გადასწყვიტეს მოიწვიონ სამხრეთ რუსეთის საბჭოების ყრილობა.

მოსკოვი. 3 მარტი. უმაღლეს მთავარსარდლის თანამდებობა გაუქმდა.

მოსკოვი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრათ დაინიშნა ჩიჩერინი.

მოსკოვი. ტროცკი დაინიშნა სამხედრო კომისრათ და სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეთ.

## საზღვარგ-არეთ.

### პოლონელების პროტესტი.

პეტროგრადში ცნობა მოვიდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, ხოტინოს რაიონში, ჩვენ თხრილებში ავსტრიის თხრილებიდან გადმოვიდა ორი პოლონელი პოლკი. პილსუდსკის ჯარიდან პოლონელები ხსნიან თავიანთ მოქცევას მით, რომ არ სურთ იბრძოლონ რევოლიუციონურ რუსეთის ხალხის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ პოლონელების მჩაგვრელებს. პოლონელები გვიამბობენ, რომ მთელ გალიციაში ხდება საპროტესტო მანიფესტაციები და მიტინგები ცენტრალურ მთავრობების წინააღმდეგ.

### პოლონელი რევოლიუციონური ჯარი

პოლონელი რევოლიუციონური ჯარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რუსეთის რევოლიუციონერებთან ერთად ისინი მძლავრათ შეუტევენ პოლონელ, რუს და გერმანელ თეთრ გვარდიელებს.

### გერმანელი სალდათები შეტევის წინააღმდეგ.

მრავალ ადგილებში ყოფილა შემთხვევები გერმანელ სალდათების ჩვენს მხარეზე გადმოსვლისა. ისინი სავსებით შეიარაღებული გადმოდიან ჩვენ მხარეზე და აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან მხარი დაუჭირონ გერმანელების შეტევას.

არენსბურგში 20 ათასამდე გერმანელი სალდათია და, როგორც გადმოგვცემენ, იმათგან 70 პროცენტი უარს ამბობს შეტევაზე.

### გაფიცვები საფრანგეთში.

ჟენევიდან იტყობინებიან, რომ 19 თებერვალს ლიონში (საფრანგეთი) მუშებმა სამი დღით გაფიცვა გამოაცხადეს. ფრანგულ პრესას აკრძალული აქვს შეეხოს ამ მოძრაობას.

### აღელვება ჰოლანდიაში.

სტოკჰოლმი ამსტერდამში და ჰოლანდიის სხვა ქალაქებში გაფიცვებია, მუშები კრებებზე რევოლიუციონურ ლოზუნგებით გამოდიან. ქუჩებში შეტაკებები ხდება პოლიციელებთან აუარებელი მსხვერპლია.

გავასის სააგენტო იტყობინება, რომ ორ პოლკში მოხდა აჯანყება, რომელიც ჩაქრობილ იქნა შეიარაღებული ძალით.

### უნგრეთის მუშები ერჩებიან შეთანხმების მომხრე სოციალისტებს.

სტოკჰოლმი. უნგრეთის სოციალ დემოკრატების ორგანოს „ნეპსვა"-ში მოთავსებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ, რადგანაც ბუდაპეშტის პროლეტარიატის დიდმა უმრავლესობამ არ დაემორჩილა კომიტეტის დადგენილებას გაფიცვების შეწყვეტის შესახებ, ამიტომ ის დგება თავის მოვალეობიდან.

### მიტინგი ჟენევაში ზავის სასარგებლოთ.

სტოკჰოლმი. ჟენევიდან ტელეგრაფით იტყობინებიან, რომ იქ მოეწყო მიტინგი, რომელზედაც დაესწრო 2 ნახ. ათასამდე მოქალაქე. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია ზავის საჩქაროთ ჩამოგდების სასარგებლოთ. მიტინგი უცხადებს დიდ სიმპატიას გაბედულ ბოლშევიკების პარტიას.

### შვეიცარიის სოციალისტურ პარტიის მოწოდება.

სტოკჰოლმი. შვეიცარიის პარტია თავის მოწოდებაში პროტესტს აცხადებს რუსეთზე გერმანელების შეტევის წინააღმდეგ: „ისევ, როგორც 1871 წელს, ცდილობენ გერმანელების დახმარებით, ჩაახშონ სოციალისტური შენების ჩანასახი, ომით და ცილისწამებით სურთ დაფარონ ახალი ავანტიურის რეაქციონური ხასიათი. ამხ. მუშებო, ჩვენ, მუშები, პროტესტს ვაცხადებთ ახალი ომის წინააღმდეგ აღმოსავლეთში. ჩვენ ველით გერმანელ მუშების, ამხედრებას თავისი მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ გვწამს, რომ ყველა ქვეყნის მუშები და, განსაკუთრებით, ნეიტრალურ ქვეყნების, შემოუერთდებიან ჩვენს პროტესტს".

## ომი, ზავი და რევოლიუცია.

ჯერ კიდევ 1915 წელს, ლ. მარტოვი, მაშინ ციმერვალდელი და ნამდვილი რევოლიუციონერი, სამარის გაზეთ „Наш Голос"-ის ფურცლებზედ სწერდა: „ომი, რომელმაც ასეთი ძლიერი ლახვარი ჩასცა სოციალისტური მოძრაობას მთელ მსოფლიოში, დაბოლოს გარდაიქცევა სამარეთ თავისი-თავის და თავისი დედა-მშობელის კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის"-ო. მაშინ მარტოვი ზავს აზროვნებდა, როგორც შედეგს მსოფლიო რევოლიუციისა, რაიც თავის თავად იქნებოდა შედეგი მსოფლიო ომისა.

ეს დებულება იყო ქვაკუთხედი ყველა იმ პარტიებისა, რომლებიც ერთდებოდენ ციმერვალდ-კინტალის გარშემო.

ომი არის იმპერიალისტური ე. ი. იმპერიალისტები სხვადასხვა ქვეყნებისა, შეჯგუფებულნი ორ მოწინააღმდეგე კოალიციაში ებრძვიან ერთი მეორეს. კაპიტალიზმის იმპერიალისტური ომების ხანაში, რომლის გადავიდა, იქით მას გასავალი გზა არა აქვს.

იგი ჩიხში მოემწყვდა. მას არ შეუძლია ამ ომს თავი დააღწიოს ერთ-და-ერთ კოალიციის გაუმარჯვებლათ, უკანასკნელი კი ყოვლად წარმოუდგენელია, რადგან კაპიტალიზმის საბედისწერო განვითარების წყალობით, ერთმანეთს დაეტაკენ ორი, შედარებით თანასწორ ძალ-ღონიანი კოალიციები. ფინანსიური კაპიტალი გერმანიის, ებრძვის ფინანსიურ კაპიტალს ინგლის ამერიკისა. და აი თითქმის 3-4 წლის ფანტასტიური ომის განმავლობაში გამარჯვების სასწორი მნიშვნელოვნად ვერც ერთი კოალიციის მხრივ ვერ გადიხარა. თუ კი გერმანია დროებითი გამარჯვებას ნახულობს ევროპის ფრონტზე, სამაგიეროთ ასეთი ე „გამარჯვება" წილად ერგო ინგლის-ამერიკას კოლონიებში და ზღვაზე. ამავე დროს დაღუპულია რიცხვი მთელი მილიონობით იანგარიშება, და მსხვერპლი და განადგურებული სიმდიდრის ღირებულება კი ასეულ მი-

ლიარდებით ფასდება. კერძოთ რუსეთმა, როგორც კაპიტალისტურათ სუსტმა და უძლურმა, ვერ აიტანა ასეთი მძიმე ტვირთი და დაეცა ძირს, როგორც კაპიტალისტური და მეომარი სახელმწიფო. რუსეთის კაპიტალიზმი უკვე დაამარცხა საერთაშორისო კაპიტალიზმის იმპერიალისტური პოლიტიკით გამოწვეულმა საერთაშორისო ომმა. ამ სახით ერთი დამარცხება უკვე იგება იმპერიალიზმა და კაპიტალიზმა. რუსეთი, როგორც ბურჟუაზიულ წყობილებაზედ აგებული სახელმწიფო უკვე არ არსებობს. მხოლოთ წარმოების ახალ ფორმებს შეუძლია გადაარჩინოს რუსეთი იმ იარებისაგან, რომლებიც მიაყენა მას ამ ომმა.

რუსეთის დიადი რევოლიუცია პირველი მერცხალია იმ მთელ რიგ სოციალისტური რევოლიუციებისა რომლებიც მოყვება შედეგათ ამ ომს. იმპერიალისტური ომის პროცესში ინგრევა ძველი ბურჟუაზიული ფორმები, ჩიხში მომწყვდეული კაპიტალიზმი ლომივით ებრძვის და ანადგურებს თავისი თავს და აი ამ პროცესში ინასკვება და ხორც-ისხამს ახალი არა ბურჟუაზიული ფორმები, რომლებიც საბოლოოთ ღებულობენ სოციალისტური რევოლიუციის ხასიათს, იმპერიალისტური ომების რკალი გადადის სოც.-რევოლიუციების რკალში. ამის დასაწყისია რუსეთის რევოლიუცია და ამაშია რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება ჩვენ არ ვეკუთნოდით იმ პირებს რომლებიც ამტკიცებდენ, რომ რუსეთის რევოლიუციის წითელი საფრთხის წინაშე შეერთდებიან საბოლოოთ იმპერიალისტები ყველა ქვეყნებისა, რომ ეს ასე მოხდეს მართალა, მაშინ კი ვიტყვით, რომ რევოლიუცია რუსეთში დაიღუპა თქვა მაგრამ ეს ასე არ არის დაარც შეიძლება, იყოს. იმპერიალიზმის არ შეუძლიათ ჩამოაგდონ თავიანთ შორის ზავი თვით რუსეთის რევოლიუციის საფრთხის წინაშეც. თავის თავად ცხადია, ყველა ისინი დაინტერესებულნი არიან რუსეთის რევოლიუციის დამარცხებაში, მაგრამ ამაშიაც ვერ ერთდებიან. იყო კი, ვითომცდა ამის ცდა ბერნში, მაგრამ, როგორც ვხედავთ, თვით კაპიტალისტებიც ვერ ახერხებენ შეაჩერონ კაპიტალიზმი იმ დაქანებულ ფიცარზედ, რომელზედაც შედგა იგი ომის სახით და რომელზედაც მიექანება იგი აგერ 4 წელიწადია სულ ქვევით და ქვევით. ის შეჩერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბოლომდე ჩაცოცდება; ფიცრის ბოლო კი კაპიტალიზმის ბოლოს წარმოადგენს.

უკვე ცნობები მოდის, რომ დასავლეთის ფრონტზე დაიწყო საშინელი შეტაკებები. გერმანიის ჯარებმა შესძლეს გაერღვიათ მტრის გამაგრებული ფრონტი და წინ მიიწევენ. აუარებელი ტყვე და დახოცილებია ორივე მხრივ. უკვე ამერიკის ჯარებიც ღებულობენ მონაწილეობას ბრძოლაში. იმპერიალისტები განაგრძობენ ბრძოლას და ამ ბრძოლით სამარეს უთხრიან კაპიტალისტურ წესწყობილებას. თუ კი მათ თვით რუსეთის რევოლიუციის საფრთხის წინაშე ვერ შესძლეს ზავის ჩამოგდება, სჩანს მათ საერთოდ არ შეუძლიათ ზავის ჩამოგდება.

ზავის საკითხი მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია გადაჭრას. გარეშე საერთაშორისო რევოლიუციისა არ სჩანს ზავი. ომის ქარცეცხლში უნდა გაიჭედოს რევოლიუციონური ძალები და მხოლოთ ისინი მიცემენ კაცობრიობას ზავს. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალიზმთან ერთად კაცობრიობაც დაიღუპება. ვისაც უნდა ზავი, მას უნდა უნდოდეს რევოლიუციაც. ის, ვინც ამბობს: „რევოლიუცია შეუძლებელია", ის ამით ამბობს, „ზავი შეუძლებელიაო" და ამით იგი კაცობრიობის დაღუპვას დასტურს აძლევს.

გაუმარჯოს ზავს!

გაუმარჯოს რევოლიუციას!

ვ. ჯახტაძე.

## ვინ გათიშა დემოკრატია?

მძიმე კრიზისს განიცდის რევოლიუცია: მის წინააღმდეგ ამხედრდენ შინაური და გარეგანი მტერი. ყველა შეგნებული და შეუგნებელი კონტრ-რევოლიუციონერი ფიქრობს ისარგებლოს თანამედროვე მომენტით და რევოლიუციონურ საბჭოთა ორგანოებს სისხლში დახრჩობას უქადის.

საჭიროა ყველა რევოლიუციონურ ძალებთა მთლიანობა, საბჭოთა დღის წესრიგშია მოიკრიბოს თავის გარშემო მთელი მშრომელი ხალხი. შეადუღოს მათი სულიერი ღტოლვილება ერთსულოვან მისწრაფებათ და მისცეს მათ რევოლიუციონური მთლიანობა.

ამ რევოლიუციონურ მუშაობას ყოველნაირათ ხელს უშლიან ბურჟუაზიული პარტიები, თავისი ბეჭვდითი ორგანოებით: ბურჟუაზიული პრესა ყოველდღიურათ აწვდის მკითხველებს ახალ-ახალ ჭორებს, რითაც არევდარევა უნდა გამოიწვიოს მშრომელ ხალხთა შორის.

ამ საზიზღარ საქმეში ბურჟუაზიას ხელს უწყობს და ეხმარება მათი ფრონტის თავისუფალი მოხალისენი მენშევიკები და ესერები (მემარჯვენე) ესინი ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ ჩირქი მოსცხონ ბოლშევიკებს და მემარცხენე ესერებს. სხვათა შორის ჩვენ ბრალს გვდებენ თითქოს დემოკრატიის მთლიანობა ჩვენ დავქსაქსეთ. ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ მათი მკითხველი ან უგნურია ან განსაზღვრული გონების პატრონია და ადვილათ დაუჯერებს მათ ყველაფერს. გავარკვიოთ ეხლა ფაქტების მიხედვით, თუ ვინ დაქსაქსა დემოკრატია.

მენშევიკები და მათი თანამოძმე ესერები 12 თვის განმავლობაში რევოლიუციის ძალით შეჩერების დასუსტების და დემოკრატის ძალთა დაქსაქსვის მეტს არაფერს აკეთებენ.

პირველი ნაბიჯი, ამ მხრივ, მათ შარშან ივლისში გადადგეს, როცა კაპიტალისტურ მთავრობის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაცია აჯანყებათ გამოაცხადეს და წერეთლის პირით (მაშინ ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო) მიტინგების დახვრეტას პირდებოდენ. საერთო მათი პოლიტიკით, სოციალისტურ ორგანოების დახურვით, მუშების, გლეხების და სალდათების დატუსაღებით მენშევიკები და ესერები დემოკრატიის ფრონტს არღვევდენ და მის მთლიანობას ანაწილებდენ, რასაკვირველია ბურჟუაზიის სასიამოვნოთ, რომელმაც მათი ასეთი ერთგული სამსახური დირსეულად დააჯილდოვა მინისტრის პორთფელებით.

მენშევიკებმა და ესერებმა მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიისაგან დაქირავებულ აგენტების საზიზღარ ცილის წამებას პროლეტარიატის ბელადების წინააღმდეგ დემოკრატიის ძლიერება და მთლიანობა სუსტდებოდა. როცა მენშევიკების და ესერების დახმარებით კერენსკი პირად პოლიტიკურ ავანტიურის გზას დაადგა.

მენშევიკების და ესერების რევოლიუციის დამღუპველ პოლიტიკას—კოალიციონურ პოლიტიკას— მუშებმა, სალდათებმა და გლეხებმა ბრძოლა გამოუცხადეს; ოქტომბრის რევოლიუციამ ბოლო მოუღო ბურჟუაზიულ მთავრობას. მთელი რუსეთის მუშათა, გლეხთა და სალდათთა მეორე ყრილობამ დასტური დასდო ოქტომბრის გადატრიალებას, რაიც მუშათა, გლეხთა და სალდათთა საბჭოების მთავრობა დამკვიდრდა—მთავრობა სახალხო კომისარებისა მერე რა? შეურიგდენ მენშევიკები და ესერები სახალხო მთავრობას? არა მათ ბურჟუაზიასთან ერთად სახალხო მთავრობას ომი გამოუცხადეს. პირდაპირ ბრძოლაში, რომ დამარცხდენ, მათ პროვოკაციას მიჰყვეს ხელი: მოატყუეს იუნკრები—კერენსკიმ ბოლშევიკები დაამარცხა და პიტერში შემოდისო რითაც მათ იუნკრების აჯანყება გამოიწვიეს. აგეთივე აჯანყება გააკეთეს მოსკოვშიც.

მენშევიკების და ესერების ხელ მძღვანელობით ხდებოდა ჩინოვნიკების „საბოტაჟი". ერთი სიტყვით ისინი არაფერს არ შურავდენ, რომ რუსეთში ეკონომიური, სასურსათო და ადმინისტრატიული კრიზისი გამოეწვიათ. როცა „ვანდეას" კონტრ-რევოლიუციამ რუსეთის დიდი რევოლიუციის სისხლში დახრჩობა მოინდომა მენშევიკები და ესერები მას მხარს უჭერდენ სიტყვით და საქმით; ტყვია წამალსაც კი უგზავნიდენ მუშების და გლეხების დასახვრეტათ. მკითხველისთვის უკვე აშკარაა თუ ვინ თიშავდა დემოკრატიას.

მუშებმა და გლეხებმა ზურგი შეუბრუნეს და საბჭოების ირგვლივ შემოიკრიბენ, სადაც უმრავლესობა ჩვენ პარტიას ეკუთვნის.

მენშევიკები და ესერები ყოველთვის საბჭოების წინააღმდეგი იყვენ და იქ, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ საბჭოები არარაობას წარმოადგენს (ამიერ კავკასია).

გამოეთიშენ რა საბჭოებს ამით გამოეთიშენ დემოკრატიას და ბრძოლაში რევოლიუციონურ ხალხის ბარიკადის მეორე მხარეზე არიან, მაგრამ რევოლიუციის მედგარი წინსვლა მათ ანადგურებს და ნიადაგს აცლის: და სულ მალე მათ არქივის სქელი მტვერი სრულიათ დაფარავს ისტორიას წიაღში.

## მუშათა ცხოვრება.

### მომრიგებელი კამერა და ჯარ. ტან. მკერავი მუშები ქუთაისში.

ძველი რეჟიმის დროს სულს გვიხუთავდა მისი უხეში ძალა, მაგრამ ჩვენ, მუშები, მაინც ვიმარჯვებდით ეკონომიურს და პოლიტიკურ გაფიცვებში.

ეკონომიური მოთხოვნილებებისთვის,—რომელიც ომის წყალობით იყო გამოწვეული—არ შეეძლო არც ერთ მუშას, არც ერთ „ხაზეინს" გვერდი აეარა რამოდენიმე ხნით. ამ მოთხოვნილებას არ გაუტანია ერთი კვირა არაოდეს, არც გაფიცვები მომხთარა თითქმის, ისე დამთავრდებოდა მუშების გამარჯვებით.

როდესაც რუსეთის დესპოტიური მთავრობა დაემხო და მუშებმა „ვეთომ თავისუფლება მივიღეთ, რასაკვირველია, როგორც ყველგან, აქაც შეუდექით მუშები პროფესიონალური კავშირების შენებას. პირველ შემთხვევაში, როგორც პატარა სამრეწველო ქალაქი, თითქმის ორასამდე ჩაეწერა წევრი.

ეკონომიური კრიზისი დღითი დღე იზრდებოდა. აუცილებელი საჭი საგნების გაძვირების გამო, აქაც მოიჭრა პირველ რიგში ეკონომ რი და მასთან პოლიტიკური მო ხოვნილება. მოთხოვნილება წაუყენ მუშებმა ხაზეინებს, - ხაზეინებმა შებს და გაიმართა მიწერ-მოწერა. თხოვნილება დამთავრდა კონტრ-მო ხოვნილებით, რომელიც გადაიტ კავშირის გამგეობამ კამერაში.

კამერაში ეგ საქმე არ გაირჩ რაღაც მიზეზების გამო—ერთ- ნახევარს. განაჩენი გამოიტანა შირის გამგეობამ და გადასცა ინებს, რომლებიც უნდა დამო ლებოდა ახალ წესწყობილებას.

ხაზეინები (როგორც თავის უწოდებდენ სოციალისტებს).

იმ კომისიამ, რომელიც ოქმ არიგებდა, ძლივს გამოასწრო გა სოციალისტ „ხაზეინების" ხელკე რომლებმაც ასეთი პასუხი მიიღ „ხაზეინებისაგან": „ჩვენ არ ვიც თქვენ რაღაც დაგიდგენიათ, ჩვენ საქმე ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთ.

ამის შემდეგ რა დარჩენოდა შებს?.. ძალა, მაგრამ რადგანაც ზონი გათავებული იყო, ამისათ მუშები ისევ ძველ კალაპოტში უ ჩამდგარიყვენ. მაგრამ აუცილებე საჭიროების მოთხოვნილების და ყოფილება კი არ ჩამდგარა ძვ ფასებში, ამისთვის მუშები იძულ ბული გახდენ სხვადასხვა საქმისთ მოეკიდებიათ ხელი, ზოგი კიდე წავიდა აქედან.

გავიდა ორი თვე, დანარჩენმა მ შებმა წაუყენეს ხაზეინებს კიდ მოთხოვნილება, რაზედაც მიიღ ლიდი უარი. გაბრაზებულმა მუშ გადაწყვიტეს გაფიცვა და მოახდინ კიდეც. გაფიცვა დამთავრდა მუშ ბის გამარჯვებით, მხოლოთ გამო რია ერთი ბ. „ხაზეინი" მ. ბლ ზავი უცვლელათ. რომელსაც მო წვია რამოდენიმე ისეთი პირები, რო მლებსაც მუშა არ ყავს (ზოგი სახ ში მუშაობს და სხვა). და მოაწერ ნე ია რაღაც ქაღალდზე ხელი, რო მელმაც აღუძრა დამკმაყოფილებ ხაზეინებს მადა, და არც ეკითხებ დენ მუშებს ისე შეიტანეს კამერაში. კამერის მდივანმა კავშირს შეატყ ბინა და გამგეობამ წარადგინა, ის მოთხოვნილება რომელზეც ხელ აწერდა მუშიანი ხაზეინები 19 კა იგი გამოკლებით დააკმაყოფილებ მუშებს. ამ ერთ სახელოსნოს მუ ბი გაფიცული იყვნენ და ამისათ კამერამ დააჩქარა აძის გარჩევა.

საქმე გაირჩა ორ დღეში, რო ლიც დამთავრდა დაკმაყოფილებ მოთხოვნილების დარღვევით და შების დამარცხებით*) კითხვა დება, რა გადაწყვიტა კამერამ? ლოკ ტი და მუშების გარეთ გაყრა, მაგ მუშებმა მაინც თავისი გაიტანეს. სანიშნავია ის სამწუხარო ფაქტი მას შემდეგ მუშები გულგრილ ეკიდება ყველა ორგანიზაციებს, კარგეს კავშირებზე რწმენა და სხ სხვა.

მუშა წამებული

*) იმ 1917 წ. 22 ენისთვის კამერაში.

რედაქცია—სარედაქციო კოლ
გამომცემელი—დასავლეთ ამიერ-
ორგანიზაციების კომიტეტი.